

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 30 მაისის საჯარო სხდომის შესახებ

30 მაისის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 3 საკითხი:

- **„ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სემეკის დადგენილების პროექტის თაობაზე**
საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის მიღების შემდგომ, სემეკმა დაამტკიცა დადგენილების პროექტი და სარეგისტრაციოდ სამინისტროში გააგზავნა.
- **შპს „გიოზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ**
სემეკმა იმსჯელა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მაძიებლის შპს „გიოზე“ განაცხადსა და მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე. კომპანიის სამოქმედო არეალს წარმოადგენს გარდაბნის რაიონის სოფელი ნორიო, რომლის მოსახლეობის გაზომვარაგებასაც ლიცენზიის მიღების შემდეგ გეგმავს.
სემეკმა სრულყოფილად მიიჩნია წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შპს „გიოზე“ გასცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია – სერია 23, № 091.
- **„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (შპს „ბორჯომიგაზი“, სს „ხაშურიგაზი“, სს „მარნეულიგაზი“, შპს „არზუ-გაზი“, შპს „გიო“)**
სემეკმა განიხილა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების – შპს „ბორჯომიგაზი“, სს „ხაშურიგაზი“, სს „მარნეულიგაზი“, შპს „არზუ-გაზი“, შპს „გიო“ – სატარიფო განაცხადები და თანდართული დოკუმენტაცია, რომელის არ იყო სრულყოფილი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ამის გამო, კომპანიების სატარიფო განაცხადების განხილვა მორიგი სხდომისთვის გადაიდო.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 18 მაისის სხდომის შესახებ

18 მაისის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 4 საკითხი:

- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ**
სემეკის 2002 წლის №52 გადაწყვეტილებით, „საქართველოს რკინიგზაზე“, რომელსაც იჯარით აქვს აღებული საცხენჭესი და ჩითახეგჰესი, გაცემული იყო ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია (№046, სერია 11) 2007 წლის 24 მაისამდე.
სემეკმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს რკინიგზა“ ასრულებს ლიცენზიის პირობებს, მიიღო გადაწყვეტილება კომპანიაზე გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის (№046, სერია 11) მოქმედების უვადოდ გაგრძელების თაობაზე. ამასთან, სემეკის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი კომპანიის მიერ ლიცენზიის პირობების შესრულებაზე.
- **სს „ენერჯო-პრო ჯორჯიაზე“ ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ**

2007 წლის 5 თებერვალს გაფორმდა „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება“, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“, შპს „აჭარის ენერჯოკომპანიას“ და, მეორე მხრივ, „ენერჯო-პრო ეი.ეს“-ს და სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ შორის. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში გადაეცემა სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ და შპს „აჭარის ენერჯოკომპანიის“ აქტივები, აგრეთვე სს „რიონჰესის“, სს „შაორჰესის“, სს „ლაჯანურჰესის“, სს „გუმათჰესების კასკადის“, სს „ძვერულჰესის“ და შპს „აწქესის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები.

ხელშეკრულების მიხედვით, აქტივებზე სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ საკუთრების უფლების გადასვლა და მის მიერ შესაბამისი თანხის გადახდა მოხდება გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ერთ-ერთ ასეთ წინაპირობას წარმოადგენს სს „ენერჯო-პრო ჯორჯიაზე“ სათანადო ლიცენზიების გაცემა.

სემეკმა იმსჯელა ლიცენზიების გაცემის თაობაზე, იხელმძღვანელა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმად, შესაძლებელია ინვესტორზე წინასწარი ლიცენზიის გაცემა. კომისიის გადაწყვეტილებებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა სემეკის რიგი გადაწყვეტილებები და ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიები გაუქმდა შემდეგ ჰესებს:

1. შპს „აწქესი“ – №056, სერია 11;
2. სს „ლაჯანურჰესი“ – №069, სერია 11;
3. სს „გუმათჰესების კასკადი“ – №042, სერია 11;
4. სს „შაორჰესი“ – №020, სერია 11;
5. სს „რიონჰესი“ – №019, სერია 11.
6. სს „ძვერულჰესი“ – №025, სერია 11;
7. სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია“ – №045, სერია 14;
8. შპს „აჭარის ენერჯოკომპანია“ – №015, სერია 14.

შესაბამისად, სს „ენერჯო-პრო ჯორჯიაზე“ გაიცა ელექტროენერჯის წარმოების უვადო ლიცენზია №075, სერია 11 და ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №057, სერია 14.

• **სემეკის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ გატარების ტარიფები)**

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებს, ელექტროენერჯის განაწილების ტარიფების გარდა, სემეკმა უნდა დაუდგინოს გატარების ტარიფებიც. ამას გარდა, „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების“ თანახმად (რომელიც 2007 წლის 5 თებერვალს გაფორმდა ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“, შპს „აჭარის ენერჯოკომპანიას“ და მეორე მხრივ, „ენერჯო-პრო ეი.ეს“-ს და სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ შორის), ჰიდროელექტროსადგურების და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივებზე სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ საკუთრების უფლების გადასვლა და მის მიერ შესაბამისი თანხის გადახდა მოხდება მხოლოდ გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. ერთ-ერთ ასეთ გარემოებას ელექტროენერჯის გატარების ტარიფების დადგენა წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, სს „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიამ“ შემეკს ელექტროენერჯის გატარების ტარიფების დადგენის თაობაზე თხოვნით მიმართეს. შემეკმა მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომელშიც კომპანიების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, დაიანგარიშა ელექტროენერჯის გატარების ტარიფები კვალიფიციური საწარმოებისათვის ძაბვების მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

ძ ა ბ ვ ა	თეთრი/კვტ.სთ დღე-ის გარეშე
35–110 კილოვოლტი	0,206
6–10 კილოვოლტი	0,580
220/380 ვოლტი	1,320

დადგენილების პროექტის მიხედვით, ელექტროენერჯის სხვა მომხმარებლებისათვის (გარდა კვალიფიციური საწარმოებისა) გამანაწილებელი კომპანიების (გარდა სს „თელასისა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციისა“) ელექტროენერჯის გატარების ტარიფები უნდა დადგინდეს „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ შემეკის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილების მე-8 მუხლით განსაზღვრული ელექტროენერჯის განაწილების ტარიფების დონეზე; ხოლო გამანაწილებელმა კომპანიებმა ელექტროენერჯის გატარებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა უნდა აწარმოონ განცალკევებულად, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია კვარტალში ერთხელ უნდა მიაწოდონ შემეკს.

• **საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის შესახებ**

საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“, შპს „აჭარის ენერგოკომპანიას“, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, „ენერგო-პრო ეი.ეს-ს“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის დაიდო „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება“, რომელიც ითვალისწინებს სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“, შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ და რიგი ჰიდროელექტროსადგურების აქტივების სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი გახდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 2 თებერვლის №35 და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 იანვრის №33 განკარგულებები.

ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებელთა მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი, რომელიც ითვალისწინებს უმრიცხველო მომხმარებლებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის პირობებს, რომელიც შემეკმა უნდა დაამტკიცოს.

ამის გათვალისწინებით, შემეკმა იმსჯელა მის მიერ შემუშავებულ ახალი დადგენილების პროექტზე, რომლის ამოქმედების მიზანია გამანაწილებელი კომპანიების ქსელებში კომერციული დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა. დადგენილების პროექტში წარმოდგენილია ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების სია, რომლებზეც აღნიშნული წესი არ გავრცელდება:

ახალქალაქი, ბოლნისი, ბორჯომი, წალენჯიხა, სოფ. დიღომი, დაბა ჟინვალი, მცხეთა, ოზურგეთი, საჩხერე, სამტრედია, დაბა ზაპესი, ზესტაფონი და ზუგდიდი.

ასევე წარმოდგენილია იმ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების სია, რომლებზეც, გარკვეული ვადების შემდეგ, აღნიშნული წესი აღარ გავრცელდება:

2008 წლის 1 ივნისიდან – ახალციხე, ჭიათურა, დუშეთი, გორი, ხაშური, ქუთაისი, ლანჩხუთი, ფოთი, რუსთავი, თერჯოლა, ტყიბული, წყალტუბო, დაბა ჯვარი;

2009 წლის 1 ივნისიდან – აბაშა, ადიგენი, ახალგორი, ამბროლაური, ონი, ასპინძა, ბაღდათი, წალკა, ჩხოროწყუ, ჩოხატაური, დმანისი, გარდაბანი, ქარელი, კასპი, ხონი, ხარაგაული, ხობი, მარნეული, დაბა ბაკურიანი, მარტვილი, ნინოწმინდა, თეთრიწყარო, თიანეთი, სენაკი, ცაგერი, ლენტეხი, ვანი.

პროექტში განსაზღვრულია ის პირობები, რომლის დროსაც კომპანიას უფლება აქვს შეუწყვიტოს ელექტროენერჯის მიწოდება მომხმარებელს. თუმცა, ეს პირობა არ ეხება ინდივიდუალური აღრიცხვის ხელსაწყოს მქონე იმ მომხმარებლებს, რომლებსაც არ აქვთ დავალიანება და ელექტროენერჯიას იღებენ უბნისაგან დამოუკიდებლად, გამხოლოებული იზოლირებული სადენის მეშვეობით.

სემეკის გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტი, სამართლებრივი ექსპერტიზისთვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიგზავნა.

პრეს-რელიზი

სემეკის 2007 წლის 14 მაისის საჯარო სხდომის შესახებ

14 მაისის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 4 საკითხი:

• **იძულებით გადაადგილებულ პირთა ელექტრომომარაგებაში არსებული პრობლემების მოწესრიგების შესახებ**

საკითხის განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამხველის სამსახურის და გამანაწილებელი კომპანიების წარმომადგენლები.

კომპაქტურად დასახლებული იძულებით გადაადგილებული პირები წარმოადგენენ საერთო მრიცხველის მქონე ჯგუფურ მომხმარებლებს, თუმცა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე მომხმარებლებისაგან განსხვავებით, ისინი ინდივიდუალურ აბონენტებად არ ფიქსირდებიან. სემეკში ხშირია საჩივრის წერილები, რომლებშიც იძულებით გადაადგილებული პირები გამოთქვამენ ეტკვებს, რომ მათი საერთო მრიცხველებიდან, არალეგალური ხაზებით, გარე კომერციული დაწესებულებებიც იკვებება. მათ ძირითად მოთხოვნას აღრიცხვის ინდივიდუალური ხელსაწყოების დამონტაჟება წარმოადგენს, რაც მათ საკუთარი მოხმარების გაკონტროლების საშუალებას მისცემს.

კომპაქტურად დასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა (განთავსებულნი ქ. თბილისის მე-4 კლინიკურ საავადყოფოში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქში, საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარედ ქალაქის მერიის ბაღანსზე არსებულ შენობაში, სასტუმრო „საქართველოში“ და ა.შ.) ელექტრომომარაგებაში არსებული პრობლემები ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

ა) მათთან ერთად განთავსებულნი არიან სხვა მობინადრეები და კომერციული დაწესებულებები,

რომლებიც ელექტროენერჯიას მოიხმარენ იგივე საერთო მოხმარების მრიცხველების გავლით,

რომლითაც დევნილები;

ბ) ასეთი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია არ აკლდება საერთო მოხმარების

მრიცხველზე დაფიქსირებულ ელექტროენერგიას;
გ) ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, აღნიშნული მრიცხველების მიხედვით, კომპანიებს

ურიცხავს თანხებს იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობაზე გადაანგარიშებით;

დ) სხვა სახის ენერგომატარებლების და სათანადო კონტროლის არარსებობის პირობებში, ადგილი

აქვს ელექტროენერგიის ჭარბ მოხმარებას;

ე) აღნიშნულის გამო, იძულებით გადაადგილებულ პირებს კომპანიები არიცხავს დიდი ოდენობით დავალიანებას, რასაც შედეგად სდევს ელექტროენერგიის გათიშვა, მომხმარებელთა უკმაყოფილება და სხვადასხვა ტიპის საპროტესტო აქციები.

პრობლემაზე მსჯელობის პროცესში გამოიკვეთა აუცილებლობა იმისა, რომ გამანაწილებელმა კომპანიებმა (სს „თელასი“, სს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანია“) უზრუნველყოს კომპაქტურად დასახლებულ დევნილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გამოიჯვანა საცხოვრებელ შენობებში განთავსებული სხვა სტატუსის მქონე მოზინადრეებისა და კომერციული მომხმარებლების ხარჯისაგან; ასევე, აუცილებელია კომპანიების საბილინგო სისტემებში იძულებით გადაადგილებულ პირთა დარეგისტრირება დროებითი მომხმარებლების სტატუსით. ასევე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უნდა ეთხოვოს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ შენობებში საერთო მოხმარების მრიცხველებით მოსარგებლე აბონენტების სიების დაზუსტება, რათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი შესაბამისი სახსრები მიზნობრივად იქნას გამოყენებული.

საკითხზე მსჯელობა სემეკის მორიგ სხდომაზე გაგრძელდება.

• **სს „ამბროლაურიგაზზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ**

სემეკმა სრულყოფილად მიიჩნია სს „ამბროლაურიგაზის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით, „ამბროლაურიგაზზე“, რომელიც ამბროლაურის მოსახლეობის გაზმომარაგებას გეგმავს, გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია – სერია 23, № 090.

• **„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (შპს „მილი“, სს „ენერგოკავშირი“, შპს „დიდი დილომი“, სს „ამბროლაურიგაზი“).**

სემეკმა განიხილა გაზგამანაწილებელი კომპანიების – შპს „მილი“, სს „ენერგოკავშირი“, შპს „დიდი დილომი“, სს „ამბროლაურიგაზი“ – მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადები. მსჯელობის შემდეგ, სემეკმა კომპანიებს დაუდგინა შემდეგი სამომხმარებლო ტარიფები:

შპს „მილი“ – 41,568 თეთრი/მ³ (დღგ-ის გარეშე), ნაცვლად სატარიფო განაცხადით მოთხოვნილი 42,676 თეთრი/მ³-სა. „მილი“ ეწევა დაბა ბაკურიანში განთავსებული სასტუმროების, სპორტსკოლებისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გაზმომარაგებას.

სს „ენერგოკავშირი“ – საშუალო წნევაზე (სამრეწველო მომხმარებელი) 34,576 თეთრი/მ³ და დაბალ წნევაზე (მოსახლეობა) **42,797 თეთრი/მ³** (დღგ-ის გარეშე), ნაცვლად სატარიფო განაცხადით მოთხოვნილი 35,714 და 45,365 თეთრი/მ³-სა. „ენერგოკავშირი“ ეწევა მუხიანში განთავსებული სამრეწველო მომხმარებლისა და მოსახლეობის გაზმომარაგებას.

პს „დიდი დილომი“ – 43,136 თეთრი/მ³ (დღგ-ის გარეშე), ნაცვლად სატარიფო განაცხადით მოთხოვნილი 43,243 თეთრი/მ³-სა. კომპანია ეწევა დიდი დილომის მოსახლეობის გაზომვარაგებას.

სს „ამბროლაურიგაზი“ – 44,915 თეთრი/მ³ (დღგ-ის გარეშე), ნაცვლად სატარიფო განაცხადით მოთხოვნილი 46,909 თეთრი/მ³-სა. კომპანია ეწევა ამბროლაურის მოსახლეობის გაზომვარაგებას.

• **შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მხრიდან სემეკის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შესახებ“**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სემეკის 2004 წლის №8/2 გადაწყვეტილების შესაბამისად, ლიცენზიატი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს ყოველი წლის ფინანსური ანგარიში და, კვარტალში ერთხელ, ინფორმაცია ფაქტობრივი საქმიანობის შესახებ. „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ სემეკში არ წარუდგენია 2006 წლის ფინანსური ანგარიში და ფაქტობრივი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. სემეკის აღნიშნული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით, „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორის ზ. ჯანჯღავას განმარტებით, კომპანიის 2006 წლის ფინანსური ანგარიშის საგადასახადო სამსახურში გაგზავნა, ჯერ-ჯერობით, გადავადებულია, რის გამოც აღნიშნული დოკუმენტის სემეკში წარდგენა გვიანდება. სემეკმა „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 26 აპრილის საჯარო სხდომის შესახებ

26 აპრილის სხდომაზე სემეკმა განიხილა 3 საკითხი:

• **„ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ“ სემეკის დადგენილების პროექტის განხილვა**

სემეკმა იმსჯელა წესების პირველ ნაწილზე, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს განაწილების ლიცენზიატებსა და საცალო მომხმარებლებს შორის, განაწილების ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. კომისიამ დეტალურად განიხილა „ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შემდეგი მუხლები:

ზოგადი დებულებები.

ელექტროდანადგარების ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობა.

ელექტროდანადგარების ექსპლუატაცია.

მხარეთა საბალანსო კუთვნილებისა და საექსპლუატაციო პასუხისმგებლობის საზღვრები.

ელექტროდანადგარებზე ენერგეტიკული ზედამხედველობა.

ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ან ხელსაწყოების (მრიცხველების) დაყენება და ექსპლუატაცია.

მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა და ანგარიშსწორების წესები.

ხელშეკრულების გაფორმება მომხმარებელთან ელექტროენერჯის მიწოდებასა და მოხმარებაზე.

საერთო წესები.

ელექტროდანადგარების ექსპლუატაცია.

ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო აღრიცხვის ხელსაწყოების (მრიცხველები) დაყენების და ელექტროენერჯის აღრიცხვის წესები.

მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ანგარიშსწორების წესი.

აღრიცხვიანობის დარღვევის ძირითადი შემთხვევები.

შემოწმების აქტის შედგენის საერთო პროცედურები.
 არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის აღრიცხვის კვანძის შემოწმების და აქტის შედგენის პროცედურები.
 საყოფაცხოვრებო მომხმარებლის აღრიცხვის კვანძის შემოწმების და აქტის შედგენის პროცედურები.
 დარიცხვის პროცედურები და მეთოდები.
 ელექტროენერჯის აღრიცხვად მოხმარება (დატაცება).
 აღრიცხვიანობის დარღვევა მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად.
 კომპანიის მოვალეობები და უფლებები.
 მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები.
 მუხლობრივი განხილვისა და მხარეთა (გამანაწილებელი კომპანიები, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი) მიერ გამოთქმული მოსაზრებების შეფასების შემდეგ სემეკმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის შემდგომი დახვეწა. საკითხის განხილვა სემეკის მორიგ სხდომაზე გაგრძელდება.

• სს „ამბროლაურიგაზზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ

სემეკმა განიხილა „ამბროლაურიგაზის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი ბუნებრივი გაზის ლიცენზიის მიღების თაობაზე. მსჯელობის პროცესში კომისიამ არასრულყოფილად მიიჩნია კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შესაბამისად, საკითხის განხილვა მორიგი სხდომისთვის გადაიდო.

• სემეკის 2006 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

სემეკმა, 2007 წლის №7/1 გადაწყვეტილებით, დაამტკიცა 2006 წლის წლიური ანგარიში. კომისიის ანგარიში საჯარო დოკუმენტია, რომელიც გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გაეგზავნება კანონით გათვალისწინებულ ყველა უწყებას.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 18 აპრილი სხდომის შესახებ

18 აპრილის სხდომაზე სემეკმა განიხილა 3 საკითხი:

• კვალიფიციური საწარმოების მიერ სარეზერვო სიმძლავრის შესყიდვის შესახებ

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ (ესკო) ეკისრება: ელექტროენერჯეტიკული სისტემის სარეზერვო სიმძლავრით უზრუნველყოფა ამ კანონითა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ განსაზღვრული წესით.

შესაბამისად, ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატები და პირდაპირი მომხმარებლები ვალდებული არიან, ჰქონდეთ საჭირო მოცულობის სარეზერვო სიმძლავრე, მათ მიერვე მოთხოვნილი მოხმარების არა ნაკლებ 10%-ისა. სარეზერვო სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები უნდა დარეგისტრირდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან. სარეზერვო სიმძლავრის შესყიდვის უფლება აქვს „ესკოსაც“, რომელიც არეგისტრირებს სტანდარტული პირობების ფორმით შედგენილ პირდაპირ ხელშეკრულებას ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან და თუ რომელიმე კვალიფიციურ საწარმოს არ გააჩნია კანონით დადგენილი წყაროებით უზრუნველყოფილი სარეზერვო სიმძლავრე, მაშინ იგი ითვლება „ესკოს“ მიერ დარეგისტრირებული ხელშეკრულების მხარედ. კანონისა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ თანახმად, სარეზერვო სიმძლავრის წყაროებს განსაზღვრავს ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

აქედან გამომდინარე, „ესკოს“ მიმართვის საფუძველზე „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ განისაზღვრა სარეზერვო სიმძლავრის პირველადი წყაროები: სს „ენერჯი ინვესტი“ (აირტურბინული თბოსადგური), სს „თბილსრესი“ და შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“. აგრეთვე, ენერგოსისტემაში როგორც ნორმალური, ასევე ავარიული რეჟიმების მართვისას შესაძლებელია წარმოიქმნას ისეთი რეჟიმიც, როცა აუცილებელია მარეგულირებელი სადგურის სიმძლავრის გამოყენება.

„ესკომ“ ასევე დაარეგისტრირა ხელშეკრულებები სარეზერვო სიმძლავრის გაყიდვაზე „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან“ და სს „ენერჯი ინვესტთან“.

„ესკოს“ გარდა, სარეზერვო სიმძლავრის შესყიდვაზე პირდაპირი ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდათ: შპს „აჭარის ენერგოკომპანიას“ - თბილსრესთან (სარეზერვო სიმძლავრის შესყიდვა არ მომხდარა); სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ - თბილსრესთან (სარეზერვო სიმძლავრის შესყიდვა არ მომხდარა); შპს „თბილისის წყალი“ - სს „ჟინვალთან“ (სარეზერვო სიმძლავრის შესყიდვა არ მომხდარა); სს „კასპიცემენტს“ - შპს „მტკვარი ენერჯეტიკასთან“ (შეისყიდა საჭირო რეზერვის 87%); სს „რუსთავეცემენტს“ - შპს „მტკვარი ენერჯეტიკასთან“ (შეისყიდა საჭირო რეზერვის 86%); სს „ჭიათურმანგანუმს“ - ხელშეკრულება არა აქვს. შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ (ფერო) (2006 წელს სარეზერვო სიმძლავრე არ შეუსყიდა. სარეზერვო სიმძლავრით უზრუნველყოფას განახორციელებდა საკუთარი მოხმარების შეზღუდვის გზით); შპს „თბილისის მეტროპოლიტენს“ - სს „ჟინვალჰესთან“ (ჟინვალჰესს სარეზერვო სიმძლავრე არ გააჩნდა); შპს „საქართველოს რკინიგზას“ (ხელშეკრულება არა აქვს); სს „მადნეულს“ - შპს „მტკვარი ენერჯეტიკასთან“ (შეისყიდა საჭირო რეზერვის 74%); სს „თბილქალაქგანათებას“ (ხელშეკრულება არა აქვს); სს „თელასი“ (იმპორტის ხელშეკრულება, როგორც რეზერვის შესყიდვის ხელშეკრულება).

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია სარეზერვო სიმძლავრის პირდაპირი ხელშეკრულება არ დაარეგისტრიროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი ხელშეკრულების რომელიმე მხარე არ წარმოადგენს კვალიფიციურ საწარმოს ან/და პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სიმძლავრეს არ გააჩნია ამ წესებით სარეზერვო სიმძლავრისათვის დადგენილი სტრუქტურა და დისპეტჩერებისათვის მზადყოფნის შესაბამისი ხარისხი.

საკითხზე მსჯელობის შემდეგ, სემეკის გადაწყვეტილებით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, „ესკომ“, ელექტროენერჯის გამანაწილებელმა კომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა უნდა უზრუნველყონ სარეზერვო სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის, შესაბამისი ხელშეკრულებების კანონმდებლობით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნების განუხრელი დაცვა; ლიცენზიატებმა გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია ერთი თვის ვადაში უნდა მიაწოდონ ენერჯეტიკის სამინისტროსა და სემეკს; ასევე, ცნობად იქნა მიღებული, რომ ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ მომზადდა „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომლის მიღება ხელს შეუწყობს განსახილველი პრობლემის მოგვარების საქმეს.

• **სს „ენერჯი ინვესტსა“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“ შორის პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ**

სემეკმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, მოისმინა მხარეთა – „ენერჯი ინვესტის“, „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის – ახსნა-განმარტებები და დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით, განხილვა შემდგომი სხდომისთვის გადადო.

- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში რეგულირების საფასურის განგარიშებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ სემეკის 2003 წლის 8 სექტემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ სემეკის დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ
სემეკმა დაამტკიცა დადგენილების პროექტი და სარეგისტრაციოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გააგზავნა.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 16 აპრილის საჯარო სხდომის შესახებ

16 აპრილის სხდომაზე სემეკმა განსახილველად გამოიტანა საკითხი:

- **„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.**

პროექტი მოიცავს ქვეყნის ბუნებრივი გაზის თითქმის ყველა სექტორს და კომპანიას. მისი მომზადების აუცილებლობა განაპირობა ისეთმა მაკროეკონომიკურ ფაქტორთა ზეგავლენამ, როგორცაა 2007 წლის დასაწყისიდან ქვეყნის გაზომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია (პოზიტიური ფაქტორი) და რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის გაორმაგება (ნეგატიური ფაქტორი). შექმნილ სიტუაციაში სემეკს მიწოდების ტარიფების არსებითად გაზრდის მოთხოვნით მიმართა ბუნებრივი გაზის იმპორტიორმა ყველა კომპანიამ – სს „იტერა-საქართველომ“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“.

ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროების მოძიების შედეგად, შეჯერდა ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების ბალანსები. 2007 წლის ბალანსი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ 2007 წლის 12 აპრილს დაამტკიცა (№28 ბრძანება). ბალანსის მიხედვით, საქართველოს წლიური მოხმარება შეადგენს 1726,48 მლნ.მ³-ს. ბალანსის მიხედვით ყველა მიმწოდებლისთვის (გარდა შპს „ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“) ბუნებრივი გაზის ერთიანი საშუალო შეწონილი საბითუმო ტარიფი ჩამოყალიბდა – 167 აშშ დოლარი/1000მ³, რომელიც მთელი სატარიფო სისტემის ამოსავალი და განმსაზღვრელი მაჩვენებელია. სემეკის მიერ სატარიფო განგარიშებებისას ლარის კურსი აღებულია უკანასკნელი 1 კვირის მაჩვენებლების მიხედვით – 1,7 ლარის ოდენობით დოლართან მიმართებაში.

ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფების დაახლოებით 52%-ით ზრდა (110-დან 167 აშშ დოლარამდე), თავის მხრივ, განაწილების ტარიფების შესაბამის ზრდას განაპირობებს. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიების უმეტესობას სამომხმარებლო ტარიფები მხოლოდ მიწოდების ტარიფების მატების გამო ეზრდებათ.

რამდენიმე გაზგამანაწილებელი კომპანია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, სს „ქუთაისიგაზი“, სს „რუსთაგაზი“, სს „კასპიგაზი“, სს „თელავგაზი“, და სხვები ჯერ კიდევ 2006 წლიდან აყენებდნენ თავიანთი განაწილების ტარიფის მომატების თაობაზე მოთხოვნას.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ ითხოვდა ტარიფის 1მ³-ზე 34,2 თეთრიდან 71,42 თეთრამდე გაზრდას. სემეკმა კომპანიას მოხმარების საშუალოდ შეწონილი ტარიფი განუსაზღვრა 48,36 თეთრის ოდენობით (დღგ-ის ჩათვლით). ამასთან, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისსს“ და რამდენიმე გამანაწილებელ კომპანიას დაუანგარიშდა დიფერენცირებული ტარიფები წნევების მიხედვით.

სემეკმა საჯარო სხდომაზე მიიღო დადგენილების პროექტი და ლიცენზიატ მიმწოდებელ კომპანიებს შემდეგი ტარიფები განუსაზღვრა:

№	მიწოდებელი (იმპორტიორი) კომპანიები	მიწოდების ტარიფი ლარი/1000მ ³	
		დღგ-ის გარეშე	+ დღგ
1	სს „იტერა-საქართველო“,	292,36	344,98
2	შპს „ეაზტრანსგაზ-თბილისი“,	285,75	337,18
3	შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“	291,85	344,38
4	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“	201,42	237,67
5	შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	166,55	196,53

სემეკმა გაზგამანაწილებელ კომპანიებს შემდეგი ტარიფები განუსაზღვრა (არასრული სია):

№	გამანაწილებელი კომპანიები	მოსმარების ტარიფი, თეთრი/მ ³	
		დღგ-ის გარეშე	+ დღგ
1	შპს „ეაზტრანსგაზ-თბილისი“ მაღალი წნევა (სამრეწველო) საშუალო წნევა (სამრეწველო) დაბალი წნევა (მოსახლეობა)	31,67	37,37
		34,805	41,07
		42,898	50,62
2	სს „ქუთაისიგაზი“ საშუალო წნევა დაბალი წნევა	37,129	43,8
		43,0	50,7
3	სს „კასპიგაზი“ საშუალო წნევა დაბალი წნევა	31,186	36,8
		46,644	55,0
4	სს „გორიგაზი“ საშუალო წნევა დაბალი წნევა	34,237	40,4
		43,475	51,3
5	სს „ზუგდიდიგაზი“	41,805	49,3
4	სს „დუშეთიგაზი“	38,119	44,98
5	სს „მცხეთაგაზი“ საშუალო წნევა დაბალი წნევა	32,288	38,1
		43,051	50,8
4	სს „ბორჯომიგაზი“	42,06	49,6
5	სს „მარნეულიგაზი“ საშუალო წნევა დაბალი წნევა	37,907	44,7
		41,805	49,3
4	სს „გურჯაანიგაზი“	40,958	48,3
5	სს „რუსთაველიგაზი“ მაღალი წნევა საშუალო წნევა დაბალი წნევა	31,102	36,7
		37,373	44,1
		42,543	50,2
4	სს „სამტრედიაგაზი“	44,068	52,0
5	სს „თელავიგაზი“	44,915	53,0
4	სს „ზესტაფონიგაზი“	40,119	47,34
5	სს „ქარელიგაზი“	44,356	52,34
4	სს „ჭიათურაგაზი“	42,670	50,35
5	სს „ყაზბეგიგაზი“	21,568	25,45

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 10 აპრილის საჯარო სხდომის შესახებ

10 აპრილის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი:

- **შპს „ლიხაურიგაზზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ**

სემეკმა იმსჯელა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მაძიებლის შპს „ლიხაურიგაზის“ განაცხადის თაობაზე.

განხილვის პროცესში კომისიამ სრულყოფილად მიიჩნია კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. განაცხადის მიხედვით, „ლიხაურიგაზის“ სამოქმედო არეალს წარმოადგენს ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაური, რომლის მოსახლეობის გაზმომარაგებასაც კომპანია გეგმავს.

სემეკის გადაწყვეტილებით, შპს „ლიხაურიგაზზე“ გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია – სერია 23, № 089.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 4 აპრილის საჯარო სხდომის შესახებ

4 აპრილის სხდომაზე სემეკმა იმსჯელა 3 საკითხზე:

- **მოქალაქე ვ.ზარქუასა და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ**

2007 წლის 14 თებერვლის სემეკის საჯარო სხდომაზე სს „თელასის“ წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა საქმის განხილვის შეწყვეტა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. თავის მოთხოვნას სს „თელასი“ ასაბუთებდა იმით, რომ მოქალაქე ვ. ზარქუა სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა სს „თელასთან“ 2000 წლის 20 მარტიდან და აპრილის თვეში, როდესაც მას მიუვიდა ქვითარი, მისთვის ცნობილი გახდა, რომ სს „თელასი“ არიცხავდა მას სადაო თანხას 144, 48 ლარის ოდენობით. 2003 წლის დეკემბერში, მოქ. ზარქუამ აღნიშნული ფაქტი გაასაჩივრა სემეკში. სს „თელასის“ აზრით, გასაჩივრების მომენტისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლების თანახმად, მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

მოქ. ზარქუა არ დაეთანხმა სს „თელასის“ შუამდგომლობას. მან განაცხადა, რომ უფლების დარღვევის ფაქტი მისთვის ცნობილი გახდა დეკემბრის თვეში, როდესაც სს „თელასმა“ შეუწყვიტა ელექტროენერჯის მიწოდება და დეკემბერშივე მიმართა სემეკს სადავო საკითხის გადაწყვეტის თხოვნით.

სს „თელასმა“ ვერ განმარტა, თუ რატომ არ შეუწყვიტა ვ. ზარქუას ელექტროენერჯის მიწოდება 2000 წლის აპრილში, როდესაც ის გახდა კომპანიის აბონენტი და უარი განაცხადა სადაო თანხის გადახდაზე.

განხილვის პროცესში სემეკმა მიიჩნია, მოქ. ზარქუას მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გაშვებული არ არის. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით, სს „თელასს დაევადა“ ჩამოაწეროს მოქალაქე ვ. ზარქუას სადავო თანხა, 144, 48 ლარი, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ ეკისრება ვალდებულების შესრულება ვალდებულების საფუძვლის არ არსებობის გამო. ასევე, სს „თელასმა“ უნდა უზრუნველყოს ვ. ზარქუასთავის ელექტროენერჯის მიწოდების დაუყოვნებლივი აღდგენა.

- **„ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ“ სემეკის დადგენილების პროექტის განხილვა**

სემეკმა, საკითხთან დაკავშირებით, მოისმინა მხარეების – ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების წარმომადგენელთა და

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მიერ გამოთქმული მოსაზრებები. კომისიამ საჭიროდ ჩათვალა დადგენილების პროექტის შემდგომი სრულყოფა. საკითხის განხილვა სემეკის უახლოეს სხდომაზე გაგრძელდება.

• „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ სემეკის 2003 წლის 8 სექტემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

სემეკმა განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რომელიც აისახა დადგენილების პროექტში, კერძოდ:

2003 წლის №17 დადგენილების თანახმად, რეგულირების საფასურის გადამხდელები იყვნენ მხოლოდ ლიცენზიატები, რასაც ითვალისწინებდა იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ (მუხლი 19. 1 პუნქტი) საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით, რეგულირების საფასურის გადამხდელებად განისაზღვრნენ: ლიცენზიატები, იმპორტიორები და მიმწოდებლები; ასევე, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 7, მე-2 პუნქტი) რეგულირების საფასურის გადამხდელად განისაზღვრა „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორიც“ (ესკო). ცალკე განისაზღვრა ესკოს რეგულირების საფასურის გადახდის ფორმულაც, რადგანაც მის მიერ გაწეული მომსახურება განსხვავდება დანარჩენებისაგან.

ძალადაკარგულად გამოცხადდა დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ლიცენზიის მაძიებლის მიერ რეგულირების საფასურის წინასწარ გადახდას. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ლიცენზიის გაცემისათვის კანონი ითვალისწინებს მხოლოდ სალიცენზიო გადასახადს, რომელიც მიმართულ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტში. ცვლილებები შევიდა №1 დანართში, რომელიც განსაზღვრავს რეგულირების საფასურის კოეფიციენტის სიდიდეს ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის სექტორში. კოეფიციენტის შემცირება შესაძლებელი გახდა იმის ხარჯზე, რომ მიმდინარე წელს მოხერხდა ლიცენზიატების მიერ სემეკის ბიუჯეტისადმი გასულ წლებში დაგროვილი რეგულირების საფასურის დავალიანების გადახდა. შესაბამისად, ელექტროენერგეტიკის სექტორში კოეფიციენტის შემცირება მოხდა 0,004-დან 0.0035-მდე, ანუ 12%-ით, ხოლო ბუნებრივი გაზის სექტორის გამანაწილებელ კომპანიებს – 0,006-დან 0,004-მდე, ანუ 33%-ით, მიმწოდებლებს კი შეუმცირდათ 0.006-დან 0.003-მდე, ანუ 50%-ით. ასევე, ძალადაკარგულად ჩაითვალა №2 დანართი.

წესის მე-4 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის, აისახა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ ლიცენზიატის მიერ რეგულირების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ის ჯარიმდება სამმაგი ოდენობით, ხოლო ამ მოთხოვნის შეისრულებლობა გამოიწვევს მის კიდევ გასამმაგებას. ასევე, შემცირდა რეგულირების საფასურის წლიური მინიმალური სიდიდე და განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1000-ისა.

განხილვის შემდგომ, სემეკმა მიიღო დადგენილების პროექტში ასახული ყველა ცვლილება და დამატება და მიზანშეწონილად ჩათვალა პროექტის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამართლებრივ ექსპერტიზაზე გაგზავნა.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 29 მარტის საჯარო სხდომის შესახებ

29 მარტის სხდომაზე სემეკმა განიხილა 2 საკითხი:

- სს „ბჟუჟაჰზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ

სს „ბუჟუჰესმა“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მიღების თაობაზე განაცხადით მიმართა სემეკს.

„ბუჟუჰესის“ ძირითადი საშუალებები 2006 წელს იჯარით ჰქონდა აღებული სს „რუსთავეცემენტს“, რომელიც ფლობდა სემეკის 2006 წლის №15/1 გადაწყვეტილებით გაცემულ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიას. „ბუჟუჰესის“ განაცხადი მოტივირებულია იმით, რომ ის წევრს საიჯარო ხელშეკრულებას „რუსთავეცემენტთან“ და იბრუნებს თავის ძირითად საშუალებებს.

სემეკმა იმსჯელა „ბუჟუჰესის“ განაცხადზე და მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სემეკის გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა სემეკის 2006 წლის №15/1 გადაწყვეტილება და გაუქმდა სს „რუსთავეცემენტზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №070, სერია II; შესაბამისად, ელექტროენერჯის წარმოების უვადო ლიცენზია №074, სერია II გაიცა სს „ბუჟუჰესზე“.

- **„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (სს „ბუჟუჰესი“)**

„ბუჟუჰესზე“ ელექტროენერჯის უვადო ლიცენზიის გაცემის შესაბამისად, სემეკის გადაწყვეტილებით, 2006 წლის №18 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ: სს „რუსთავეცემენტს“ ჩაენაცვლა სს „ბუჟუჰესი“, რომელზეც გაგრძელდა იგივე ტარიფი – 4 თეთრი/კვტ.სთ. (დღგ-ის გარეშე).

პრეს-რელიზი

სემეკის 2007 წლის 23 მარტის საჯარო სხდომის შესახებ

23 მარტის სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 3 საკითხი:

- **„ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ“ სემეკის დადგენილების პროექტის განხილვა**

სემეკის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ“, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება საქართველოში მოქმედი ყველა გამანაწილებელი კომპანიისა და მათი მომხმარებლებისთვის. დადგენილების პროექტი რამდენიმე თვის განმავლობაში მუშავდებოდა სემეკში. ამასთან დაკავშირებით ჩატარდა არაერთი შეხვედრა სს „თელასის“, „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“, „აჭარის ენერჯოკომპანიის“ და „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის“ წარმომადგენლებთან.

სემეკმა იმსჯელა წარმოდგენილ პროექტზე, მოისმინა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისა და გამანაწილებელი კომპანიების წარმომადგენელთა მოსაზრებები საკითხის დაკავშირებით. ამ ეტაპზე, სემეკმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ კვლავაც გაგრძელდეს დადგენილების პროექტზე მუშაობა და მასში გათვალისწინებულ იქნას გამოთქმული შენიშვნები.

პროექტის განხილვა სემეკის მორიგ სხდომაზე გაგრძელდება.

- **შპს „გიოზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ**

შპს „გიომ“ წარმოადგინა განაცხადი ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მიღების თაობაზე.

ლიცენზიის მაძიებელი მიზნად ისახავს გარდაბნის რაიონის სოფელი ნორიოს მოსახლეობის გაზმომარაგებას.

სემეკმა განიხილა შპს „გიოს“ მიერ წარმოდგენილი განაცხადის და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც არასრულყოფილად მიიჩნია.

სემეკის გადაწყვეტილებით, საკითხზე მსჯელობა ლიცენზიის მაძიებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემდგომ განახლდება.

• **მოქალაქე ვ.ზარქუასა და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სემეკმა გაარქელა აღნიშნული სადავო საკითხის განხილვა. მიმდინარე წლის 14 თებერვლის სემეკის საჯარო სხდომაზე, სს „თელასის“ წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა საქმის განხილვის შეწყვეტა მათხოვნის ხანდაზმულობის გამო.

თავის მოთხოვნას სს „თელასი“ ასაბუთებს იმით, რომ ვ. ზარქუა სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა “თელასთან” 2000 წლის 20 მარტიდან და აპრილის თვეში, როდესაც მას მიუვიდა ქვითარი, მისთვის ცნობილი გახდა, რომ “თელასი” არიცხავდა მას სადავო თანხას. დარიცხული თანხა, რომელიც ვ. ზარქუამ არასწორად მიიჩნია, გაასაჩივრა სემეკში 2003 წლის დეკემბერში. კომპანიის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გასაჩივრების მომენტისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლების თანახმად, მოთხოვნა უკვე ხანდაზმული იყო.

სემეკის იურიდიული დეპარტამენტმა განიხილა წარმოდგენილი მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ მოქალაქე ზარქუას მოთხოვნა ხანდაზმულია.

ვ. ზარქუა არ დაეთანხმა სემეკის დეპარტამენტის დასკვნას და დატოვა სხდომა.

გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაო დღე იმ მომენტისათვის უკვე დასრულებული იყო, ამასთან, მოდავე მხარე აღარ ესწრებოდა სხდომას, სემეკმა გადაწყვეტილების მიღებისაგან თავი შეიკავა.

პრეს-რელიზი

სემეკის 2007 წლის 27 თებერვლის სხდომის შესახებ

27 თებერვლის სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 3 საკითხი:

• **„ელექტროენერჯის გამანაწილებელ და გადამცემ ქსელებზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სემეკის დადგენილების პროექტის განხილვა.**

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის თანახმად სემეკი უფლებამოსილია დაადგინოს გამანაწილებელ და გადამცემ ქსელებზე ახალი მომხმარებლების მიერთების საფასური, რომელიც შემდგომში შესაბამის ლიცენზიატს უნდა აუნაზღაურდეს. სემეკმა იმსჯელა ქსელებზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის განსაზღვრის წესის შემუშავებაზე, რომელიც შემდგომში მიერთების საფასურის გასაანგარიშებლად უნდა იქნას გამოყენებული. გამანაწილებელ და/ან გადამცემის ქსელთან მიერთების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური პირობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესრულებას. ქსელთან ტექნოლოგიური მიერთება უნდა განხორციელდეს სემეკის მიერ დადგენილი წესებით; ხოლო მიერთების საფასურის საფუძველი უნდა გახდეს ყველა ის დანახარჯი, რომელიც აუცილებელია მიერთების სამუშაოების შესასრულებლად (ტექნიკური პირობების მომზადება, ელექტროქსელში ობიექტის ჩართვისა და ძაბვის მიწოდების ოპერაციის განხორციელება, არსებული ქსელების გაძლიერება, მიერთებისათვის საჭირო კონკრეტული ახალი ქსელების მშენებლობა და ა.შ.) მიერთების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ერთჯერადად იმ პირისაგან, რომელიც იწვევს ამ დანახარჯს, მან უნდა აანაზღაუროს მიერთების ყველა ხარჯი და იგი არ უნდა აისახოს სამომხმარებლო ტარიფებში.

მიერთების საფასურის მეთოდოლოგიაზე მსჯელობის პროცესში სემეკმა საავალდებულოდ მიიჩნია რიგი დეტალების დაზუსტება და არსებული საინფორმაციო ბაზის სრულყოფა და შეჯერებული ვარიანტის უახლოეს სხდომაზე წარმოდგენა.

- **სს „იტერა-საქართველოს“ მიერ სს „ენერჯეტიკისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის დადგენის შესახებ.**

სემეკმა არასრულყოფილად მიიჩნია სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საკითხის არსებითი განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადადო.

პრეს-რელიზი

სემეკის 2007 წლის 16 თებერვლის საჯარო სხდომის შესახებ

16 თებერვლის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 2 საკითხი:

- **სს „ენერჯი ინვესტის“ სატარიფო განაცხადის შესახებ**

სს „ენერჯი ინვესტმა“, ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, სემეკს ტარიფის გაზრდის მოთხოვნით მიმართა. მისი მოთხოვნა, უწინარეს ყოვლისა, მოტივირებულია იმით, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან გაძვირდა ბუნებრივი გაზის შესასყიდი ფასი და, ასევე, 2007 წლიდან კომპანიამ უნდა დაიწყოს 53,8 მლნ. აშშ დოლარიანი კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა. გარდა ამისა, „ენერჯი ინვესტმა“ მიმდინარე ხარჯების დასაფარად, დამატებით, აიღო მოკლევადიანი კრედიტი, რომლის დაფარვის კომპონენტი ასევე შეტანილია სატარიფო განაცხადში. „ენერჯი ინვესტმა“ სემეკს მიმართა თხოვნით, რომ ამ ეტაპზე ხელახლა დაანგარიშებულიყო მხოლოდ გარანტირებული სიმძლავრის კომპონენტი.

სატარიფო განაცხადზე მჯელობისას სემეკმა, გაითვალისწინა ის გარემოება (და ამით არ დაეთანხმა ლიცენზიატის მოთხოვნას), რომ სს „ენერჯი ინვესტის“ მოქმედ ტარიფში უკვე გათვალისწინებულია საბრუნავი სახსრების შესავსებად აღებული კრედიტის თანხაც და კრედიტებზე გადასახდელი პროცენტის თანხებიც, გარანტირებული სიმძლავრისთვის მას დაუდგინა ტარიფი 5,3 თეთრი/კვტ.სთ-ის ოდენობით, (დღგ-ის გარეშე), ნაცვლად 3,467 თეთრისა. შესაბამისად, კომისიამ შეიტანა ცვლილება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილებაში.

- **„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 23.08.99 №3 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ სემეკის დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ**

სემეკის გადაწყვეტილებით, დამტკიცებული დადგენილების პროექტი სარეგისტრაციოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიგზავნა.

პრეს-რელიზი

სემეკის 2007 წლის 14 თებერვლის საჯარო სხდომის შესახებ

14 თებერვლის სხდომაზე სემეკმა განიხილა შემდეგი საკითხები:

- **ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების დარღვევების შესახებ სს „ზესტაფონიგაზის“ შემოწმების შედეგების მიხედვით.**

ქ. ზესტაფონის მოსახლეობა კომისიისადმი გაგზავნილ განცხადებებში პრეტენზიას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ სს „ზესტაფონიგაზი“ ინდივიდუალური მრიცხველებით დაფიქსირებული ჩვენებების შესაბამისი საფასურის გარდა მოსახლეობას არიცხავდა გაზის საერთო დანაკარგების

ღირებულებას. აღნიშნული თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტებს ჯგუფური პრინციპით უწყდებოდა გაზის მიწოდება. სემეკის თავმჯდომარის 2007 წლის 18 იანვრის №05 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ ადგილზე შეამოწმა „ხესტაფონიგაზის“ მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები, რის შესახებაც შედგა შემოწმების აქტი.

„ხესტაფონიგაზის“ წარმომადგენლის განცხადებით, კომპანია ფინანსურად მძიმე მდგომარეობაშია. თუ იგი წინა ხელმძღვანელობის მიერ ზედმეტად დარიცხულ თანხებს დაუბრუნებს მოსახლეობას, ვეღარ შეძლებს მოწოდებული გაზის საფასურის გადახდას, რის გამოც „იტერა-საქართველო“ მას გაზის მიწოდებას შეუწყვეტს. ამ ვალის გათვალისწინება შესაძლებელია კომპანიის პრივატიზაციის დროს. „ხესტაფონიგაზი“ იღებს ვალდებულებას, იმოქმედოს მხოლოდ კანონის ფარგლებში. რაც შეეხება ზენორმატიული დანაკარგის ღირებულებას, იგი აღარ დაეკისრება მოსახლეობას და, დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ყოველ მომხმარებელს ინდივიდუალურად შეუწყდება მომსახურება.

საკითხის განხილვის შემდგომ სემეკის გადაწყვეტილებით, სს „ხესტაფონიგაზმა“ ზედმეტად დარიცხული თანხები უნდა დაუბრუნოს კეთილსინდისიერ მომხმარებლებს; ასევე, „ხესტაფონიგაზმა“ მომხმარებელთან ანგარიშსწორება უნდა აწარმოოს სემეკის 2004 წლის 30 სექტემბრის №10 დადგენილების შესაბამისად, ხოლო საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა ორი თვის შემდეგ უნდა გადაამოწმოს „ხესტაფონიგაზის“ საქმიანობა მომხმარებელთან ანგარიშსწორების კუთხით.

• **მოქალაქე ვ.ზარქუასა და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, 2006 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით, სადაო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნო სემეკის 2004 წლის 9 ივლისის № 12/5 გადაწყვეტილება და დაავალა კომისიას, გარემოებათა შეფასებისა და გამოკვლევის შედეგად, ახალი აქტის გამოცემა.

საქმის ვითარება შემდეგში მდგომარეობს: 2004 წლის 9 ივლისს, სემეკის საჯარო სხდომაზე განიხილეს მოქალაქე ვ. ზარქუასა და სს „თელასს“ შორის დავა, რომლის საგანს წარმოადგენდა სს „თელასის“ მოთხოვნა, მოქალაქე ზარქუას დაეფარა ბინის წინა მფლობელის, ჭანტურიას მიერ სს „თელასის“ მიმართ დაგროვილი დავალიანება 144,48 ლარის ოდენობით.

კომისიამ, 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა მოქალაქე ზარქუას მოთხოვნა დავალიანების ჩამოწერის შესახებ და მიიჩნია, რომ არ არსებობს ვალდებულების წამოშობის საფუძველი. სს „თელასმა“, თავის მხრივ, სემეკის აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში.

სემეკის გადაწყვეტილებაში ვ. ზარქუასა და გ. ჭანტურიას შორის ბინის ნასყიდობის თარიღად მიჩნეულია 2002 წლის 20 მარტი. სემეკმა თავისი №12/5 გადაწყვეტილების მიღებისას განმარტა სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის № 10 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რაც საფუძველად დაუდო თავის გადაწყვეტილებას.

სასამართლო მსვლელობისას გაირკვა, რომ ვ. ზარქუასა და გ. ჭანტურიას შორის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო არა 2002 წელს, არამედ 2000 წლის 20 მარტს.

სემეკმა განიხილა ახლად აღმოჩენილი გარემოება და მივიდა დასკვნამდე, რომ 2000 წლამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე ვერ გავრცელდება სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის №10 დადგენილება, რომელსაც უკუხალა არ აქვს.

სხდომაზე, სს „თელასის“ წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა საქმის განხილვის შეწყვეტა ვ. ზარქუას მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სემეკმა მხარეებისაგან დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოითხოვა და საკითხის განხილვა მომავალი სხდომისთვის გადადო.

- **სს „ენერჯი ინვესტის“ სატარიფო განაცხადის შესახებ**
საკითხთან დაკავშირებით, სემეკმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი ინფორმაციის მოკვლევა და განხილვა მორიგი სხდომისთვის გადადო.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 7 თებერვლის საჯარო ხდომის შესახებ

7 თებერვლის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი:

- **ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების დარღვევების შესახებ სს „ხესტაფონიგაზის“ შემოწმების შედეგების მიხედვით**
საკითხის განხილვა გადაიდო სს „ხესტაფონიგაზის“ წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო.
- **შპს „ორუჯვეი და ჯანმრთელობა“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ (არეალის გაფართოება)**
2003 წლის 12 სექტემბრის №37/2 გადაწყვეტილებით შპს „ორუჯვეი და ჯანმრთელობაზე“ გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია – სერია 23 № 058.

შპს „ორუჯვეი და ჯანმრთელობა“ ახორციელებს გარდაბნის რაიონის სოფ. ყარათაკლას მოსახლეობის გაზომომარაგებას. კომპანიამ დამატებით ააშენა საშუალო წნევის ახალი გაზსადენი, რომლითაც რეგიონში მოქმედი საწარმოების ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. აღნიშნული გაზსადენის ექსპლუატაციაში გაშვება ითხოვს კომპანიის ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის სამოქმედო არეალის გაფართოებას.

სემეკმა განიხილვის პროცესში სრულყოფილად მიიჩნია შპს „ორუჯვეი და ჯანმრთელობის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სემეკის გადაწყვეტილებით, კომპანიის ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში შევიდა ცვლილება და მის სამოქმედო არეალს დაემატა ახლადაშენებული გაზგამანაწილებელი ქსელი.

პრეს-რელიზი
სემეკის 2007 წლის 15 იანვრის საჯარო სხდომის შესახებ

15 იანვრის სხდომაზე სემეკმა განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 4 საკითხი:

- **შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მოსმენა ბოლო 6 თვეში შესრულებული სამუშაოების შესახებ**
სემეკის 2006 წლის 1 ივნისის №14/1 გადაწყვეტილებით, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისზე“ გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია. ამ გადაწყვეტილების მე-6-ე პუნქტის შესაბამისად, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ უნდა უზრუნველყოს ავარიულად საშიში უბნების გადაუდებელი აღდგენა რეაბილიტაცია.

„ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ წარმოადგინა დოკუმენტაციის პაკეტი, რომელიც მოიცავს:

- ❖ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ განვითარების ძირითადი მიმართულებები;
- ❖ ქ. თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაციის გეგმა;
- ❖ სარეაბილიტაციო ობიექტების ჩამონათვალი, საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად;
- ❖ შემოსავლები ფასიანი მომსახურებიდან სახეობების მიხედვით;

❖ სტატისტიკური ინფორმაცია.

სხდომაზე მოისმინეს “ყაზტრანსგაზ-თბილისის” მიერ 2006 წლის ბოლო 6 თვეში ჩატარებული სამუშაოების შესახებ მოკლე პრეზენტაცია.

“ყაზტრანსგაზ-თბილისის” მიერ გაწეული სამუშაოები, მიუხედავად არსებული შენიშვნებისა, სემეკმა დადებითად შეაფასა. კომპანიის წლიური ანგარიშის მოსმენა 2007 წლის ივნისში შედგება.

- **ბუნებრივი გაზის სექტორში განაწილებისა და ტრანსპორტირების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმების პროგრამისა და გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ**

ბუნებრივი გაზის სექტორში ბუნებრივი გაზის განაწილებისა და ტრანსპორტირების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების შემოწმების მიზნით, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, სემეკმა დაამტკიცა ბუნებრივი გაზის განაწილებისა და ტრანსპორტირების ლიცენზიატთა მიერ ლიცენზიების პირობების შესრულების შემოწმების გეგმა-გრაფიკი და ლიცენზიატთა შემოწმების პროგრამა.

სემეკის მიერ შემუშავებული დოკუმენტი მოიცავს:

❖ **ზოგად მოთხოვნებს** – სემეკის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობა; მიმდინარე და მომავალი წლის საინვესტიციო გეგმა და მისი შესრულება; ავარიების სტატისტიკა და გატარებული ღონისძიებები. ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძების მდგომარეობა და მოწესრიგების პროგრამა; გაყიდული ბუნებრივი გაზის ამოღების პარამეტრები.

❖ **ბუნებრივი გაზის მეურნეობების ექსპლუატაციის სრულყოფა და მისი ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში არსებობის შემოწმება** – გაზგამანაწილებელი ქსელის, გაზმარეგულირებელი სადგურების და პუნქტების მოწყობილობების ტექნიკური პასპორტები და კაპიტალური რემონტების წლიური გეგმა და შესრულება; გაზის რეჟიმის რეგულირება და დისპეტჩერიზაცია, ოპერატიული ჟურნალები; კაპიტალური რემონტების წლიური გეგმების არსებობა და შესრულების მიმდინარეობა; ხელშეკრულებები გაზის მიწოდებაზე და ტექნიკურ მომსახურებაზე; ტრანსპორტირების ლიცენზიატის მიერ პირდაპირი მომხმარებლების მიერთების შესაბამისობა სემეკის მიერ ნებადართულ მოდიფიცირებასთან და პირდაპირი მომხმარებლებისათვის მიერთების ტექნიკური პირობების შემოწმება.

❖ **პერსონალის მიმართ ორგანიზაციული მოთხოვნები** – სამუშაო ადგილზე პერსონალის ინსტრუქტაჟის ჟურნალი; პერსონალის საკვალიფიკაციო მოწმობები; შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის და რეგისტრაციის ჟურნალები.

- **„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 30.12.05 №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“)**

„აჭარის ბუნებრივი აირი“ ბუნებრივი გაზის განაწილებასა და საცალო მიწოდებას ახორციელებს ქ. ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობისა და სამრეწველო მომხმარებლისათვის. კომპანიის მოქმედი სამომხმარებლო ტარიფია 33,118 თეთრი/მ³ (დღგ-ის გარეშე), ხოლო ბუნებრივი გაზის შესყიდვას იგი სს „იტერა-საქართველოსაგან“ ახდენს. წარმოდგენილი გაანგარიშებით, 2007 წლისთვის მისაღები ბუნებრივი გაზის საპროგნოზო მოცულობა 8500.0 ათას მ³-ს შეადგენს, ხოლო 2006 წილს მიღებული ბუნებრივი გაზის ფაქტიური მოცულობა იყო 3 მლნ. მ³.

კომპანიის სატარიფო განაცხადის თანახმად, 2007 წლისთვის ფუნქციონირებას იწყებს მაღალი წნევის 2 ავტოგასამართი სადგური და საშუალო წნევის 5 ობიექტი. შესაბამისად, კომპანია დიფერენცირებული ტარიფების (წნევის მიხედვით) დადგენას ითხოვს. სატარიფო განაცხადის მიხედვით კომპანია მაღალ

წნევაზე ითხოვს 24,003 თეთრს/მ³-ზე, საშუალო წნევაზე – 32,206 თეთრს/მ³-ზე, ხოლო დაბალ წნევაზე (მოსახლეობა) 35,187 თეთრს/მ³-ზე (დღგ-ის გარეშე).

სემეკის მიერ კორექტირებულ იქნა კომპანიის სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ზოგიერთი მაჩვენებელი და, საბოლოო ჯამში, „აჭარის ბუნებრივი აირისთვის“ დადგინდა ბუნებრივი გაზის შემდეგი სამომხმარებლო ტარიფები: მაღალ წნევაზე – 24,119 თეთრი/მ³, საშუალო წნევაზე – 29,195 თეთრი/მ³, დაბალ წნევაზე (მოსახლეობა) 33,118 თეთრს/მ³-ზე (დღგ-ის გარეშე).

- **ზოგიერთი დოკუმენტის კონფიდენციალურად ცნობის შესახებ**

ზოგიერთი დოკუმენტის კონფიდენციალურად ცნობის შესახებ სემეკს თხოვნით მიმართა ორმა ლიცენზიატმა – „**ყაზტრანსგაზ-თბილისისმა**“ და „**იტერა-საქართველომ**“. საქმე ეხება ამ კომპანიების სატარიფო განაცხადებს, რომელიც მათ 2007 წლის 5 იანვარს შემოიტანეს სემეკში.

სემეკმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, მათი სატარიფო განაცხადები კონფიდენციალურ დოკუმენტებად მიიჩნია.